ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ცირკულარული ეკონომიკის გაძლიერება საქართველოში რესურსეფექტური და სუფთა წარმოების გზით

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორი რეგიონული პროგრამის ფარგლებში, რესწ-ის ათწლიანი მოღვაწეობისას კომპანიების გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები და ზეგავლენა

01 კონტექსტი

02 რესწ პროცესი (ტექნიკური შეფასებიდან დანერგვამდე)

03 EU4Environment-ის მონიტორინგის შედეგები

04 ვსწავლობთ ჩვენი პარტნიორების გამოცდილებას

05 გზა წარმატებისკენ

06 მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოები: გამოხმაურებები.

პროგრამის შესახებ

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) საშუალებას აძლევს კომპანიებს გამოიყენონ ინტეგრირებული და უწყვეტი პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიები პროცესებზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რათა გაზარდონ ეფექტურობა და შეამცირონ რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. მოკლედ, რესწ ეხმარება კომპანიებს მინიმუმამდე დაიყვანონ თავიანთი საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე და შეამცირონ რესურსების გამოყენება, ამავდროულად მათი პროდუქტიულობის ამაღლებით.

ამ მიზნების გათვალისწინებით, 2012 წელს საქართველოში დაიწყო რესწ სადემონსტრაციო პროექტი „ეკონომიკის გამწვანება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში“ **(EaP GREEN) პროგრამის (2012-2017 წ.)** ფარგლებში და გაგრძელდა მისი განხორციელება შემდგომი პროგრამის, **EU4Environment Action** ფარგლებში **(2019-2024 წ.)**.

ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული ორი პროგრამის ფარგლებში, რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტი განხორციელდა გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ და ადგილებზე მხარდაჭერილია მისი ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორების მიერ. მთლიანობაში, 110-ზე მეტმა ქართულმა მცირე და საშუალო საწარმომ მიიღო ინდივიდუალური რესწ რეკომენდაციები, რაც დაეხმარება მათ გააუმჯობესონ გარემოსდაცვითი მაჩვენებლები, შეამცირონ წარმოების ხარჯები და გაზარდონ პროდუქტიულობა. გარდა ამისა, თითქმის 30-მა ეროვნულმა ექსპერტმა გაიარა ტრენინგი რესწ მეთოდოლოგიაში.

ამ ბროშურაში გაშუქებულია რესწ მეთოდოლოგიის პირდაპირ გავლენა საქართველოში EaP GREEN და EU4Environment პროგრამების მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოებზე.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

კონტექსტი

ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენება არის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის მთავარი ფაქტორი, რაც უარყოფითად აისახება როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ კეთილდღეობაზე. მასალების, წყლისა და ენერგიის მოხმარების გადახედვის მზარდი აუცილებლობის გამო, ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს აქვს პოტენციალი, მოაგვაროს მრეწველობის გარემოზე უარყოფითი გავლენის პრობლემა რესურსების ამოწურვისა და ბუნებრივი არეალის დაბინძურების შემცირებით. ცირკულარული ეკონომიკა არის ღირებულებისა და კეთილდღეობის შექმნის ახალი გზა პროდუქტის მომსახურების ვადის გახანგრძლივების გზით, დიზაინის გაუმჯობესებისა და მომსახურებისა და ნარჩენების გადატანით სასიცოცხლო ციკლის ბოლოდან დასაწყისისკენ.

ამის მისაღწევად, რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) არის მდგრადი სამრეწველო განვითარების სასიცოცხლო კომპონენტი. ის ხელს უწყობს საწარმოებს, გამოიყენონ მასალები ეფექტურად, გააფართოვონ რესურსების გამოყენება ღირებულების მაქსიმიზაციისთვის და აქციონ ნარჩენები ღირებულ რესურსებად მათი სასიცოცხლო ციკლის ბოლოს. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან UNIDO მხარს უჭერს სამრეწველო საწარმოებს ორგანიზაციული პრაქტიკის მოდერნიზაციაში, ახალ ბიზნეს მოდელებში ინვესტირებაში და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მწვანე ინვესტიციების პოპულარიზაციაში. ეს მოიცავს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (საქართველოს ჩათვლით) პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას, გარემოსდაცვითი კეთილდღეობის გაძლიერებას და მწვანე ზრდის შესაძლებლობების შექმნას. საქართველო აცნობიერებს მწვანე ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის მნიშვნელობას მის მაღალი დონის დაგეგმვის დოკუმენტებში, განსაკუთრებით დებულებებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოებთან კომუნიკაცია უნდა იყოს უფრო ლაკონური და მიზანმიმართული, პრაქტიკული მაგალითებითა და წარმატების ისტორიებით, რათა წაახალისოს საწარმოები რესწ პრაქტიკაში ინვესტირებისთვის.

რესწ პროცესი

საქართველოში 41,000-ზე მეტი მწარმოებელი კომპანიაა, რომელთაგან 85%-ზე მეტი კლასიფიცირდება როგორც მცირე, ხოლო 9% როგორც საშუალო ზომის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის დასაქმების 67%-ზე მეტი და მთლიანი დამატებული ღირებულების 61,5%. ამ კუთხით, EU4Environment-მა აჩვენა, რომ ქართული საწარმოები დაინტერესებულნი არიან მიაღწიონ მდგრადობას ენერგიის, მასალების და წყლის მოხმარების შემცირებით და წვლილი შეიტანონ უფრო სუფთა გარემოს შექმნაში. ვინაიდან მასალების და ენერგიის ხარჯები საწარმოო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენება არა მხოლოდ ფლანგავს ფულს, არამედ არსებითად უწყობს ხელს კლიმატის ცვლილებას და გარემოს დეგრადაციას. მთლიანობაში, 112 კომპანიამ მიიღო რესწ-ის რეკომენდაციები და სწავლება EaP GREEN და EU4Enviroment პროგრამების ფარგლებში. EaP GREEN-ში შევიდა 83 კომპანია (რესწ კლუბებში 32 და 50 სადემონსტრაციო კომპანია), ხოლო EU4Environment მოიცავდა 30 კომპანიას (20 რესწ კლუბებში და 10 სადემონსტრაციო კომპანია). განისაზღვრა 396 რესწ რეკომენდაცია და შეთავაზებულ იქნა კომპანიებისთვის განსახორციელებლად, მათი კონკრეტული საჭიროებების, რესურსების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საფუძველზე. ასევე ჩატარდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ეროვნულ სერვის-პროვაიდერებს ჩაუტარდათ ტრენინგი; საკონსულტაციო პროცესის მეშვეობით შემუშავდა რესწ სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოებში რესწ პრაქტიკის დასანერგად.

TEU4Environment-ის გუნდმა გააანალიზა 10 მცირე და საშუალო საწარმოს მონაცემები შესაბამისი ქმედებების გამოსავლენად. რესწ-ის **რეკომენდებულმა ღონისძიებებმა მიაღწია წლიური რესურსების შემდეგ დაზოგვებს EaP GREEN პროგრამის ფარგლებში:**

- ჯამური ინვესტიცია 159,572 ევრო
- ხარჯების ჯამური დაზოგვა 99,541 ევრო წლიურად
- ელექტროენერგიის ჯამური დაზოგვა 1,615,234 კვტ.სთ წლიურად
- წყლის ჯამური დაზოგვა 7,394 $მ^3$ წლიურად
- მასალების ჯამური დაზოგვა 16.25 ტონა წლიურად
- CO_2-ექ ემისიების ჯამური შემცირება 217 ტონა წლიურად



ნახ. *1.* რესწ-ის ხელშეწყობის პროცესი, ჩატარებული *UNIDO*-ს მიერ

სურათი 1 ასახავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება EaP GREEN და EU4Environment პროგრამებში, რამაც განაპირობა რესურსეფექტურობის ამაღლების ღონისძიებები მონიტორინგის ქვეშ მყოფ ქართულ კომპანიებში. განხორციელებისა და დანერგვის ეტაპების მიმდინარეობისას, EU4Environment-მა შეაფასა რესწ ღონისძიებების გამოყენების პირობები EaP GREEN-ის დასრულების შემდგომ წლებში. ამის მიზანი იყო ინფორმირება უფრო მორგებული სტრატეგიის შემუშავების შესახებ, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს რესწ ინიციატივების გაფართოებას და რეპლიკაციას. მონაწილე კომპანიები ძირითადად მუშაობენ კვების პროდუქტების და ქიმიური მრეწველობის სექტორებში.

EU4Environment-ის მონიტორინგის შედეგები

2019-2024 წლებში EU4Environment-ის ფარგლებში მონიტორინგი ჩაუტარდა 37 კომპანიას (10 EaP GREEN პროგრამიდან, 10 რესწ სადემონსტრაციო კომპანია და რესწ კლუბებში ჩართული 17 კომპანია). ამ კომპანიებს ჰყავთ 5-დან 100-მდე თანამშრომელი და წარმოადგენენ სხვადასხვა სექტორს (სურსათის წარმოება, სამშენებლო მასალები, პლასტმასის წარმოება, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, რძის პროდუქტების წარმოება და მრავალი სხვა). აღსანიშნავია, რომ წყალსა და ენერგიაში მნიშვნელოვანი დანაზოგის გარდა, რესწ ღონისძიებების განხორციელებამ პოტენციურად შეიძლება გაზარდოს კომპანიების მომგებიანობა ხარჯების საგრძნობი დაზოგვის გზით:



EaP GREEN-ისათ კომპანიას, რომლებსაც მონიტორინგი ჩაუტარდათ რესწ რეკომენდაციების განხორციელებისკუთხით, ჰყავთ 6-დან 80-მდე თანამშრომელიდა წარმოადგენენ სხვადასხვა სექტორს (რძის პროდუქტები, სასმელები, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, საპოხი მასალები, ლითონის დამუშავება). რესწ ღონისძიებების ფაქტიური განხორციელების კოეფიციენტი იყო დაახლოებით 85%, მარტივი უკუგების საშუალო პერიოდი - 1.6 წელი.

რეკომენდაციების თითქმის 80% ეხებოდა ენერგოეფექტურობას. ეს აიხსნება მონიტორინგის პერიოდში ენერგიის მაღალი ღირებულებით და მისი მიწოდების რისკებით, ეროვნული ექსპერტების ტექნიკური გამოცდილებასთან ერთად. განხორციელებული ღონისძიებების დაახლოებით 25% იყო მეურნეობის უკეთ გაძღოლის გადაწყვეტები, რომლებიც არ საჭიროებს ინვესტიციას.

განხორციელებული რესწ ვარიანტების განაწილება გარემოსდაცვითი კატეგორიების მიხედვით



გადაიდგა ნაბიჯები ელექტრომომარაგების დეკარბონიზაციისთვის, მზის ფოტოელექტრული (PV) სადგურების დაყენებით. გარდა ამისა, დაინერგა წრიული მიდგომები კვების მრეწველობის ქვეპროდუქტების გამოყენებით და წყლის გადამუშავებით. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კომპანია ასევე ნერგავდა ახალ ტექნოლოგიებს ან ანახლებდა აღჭურვილობას, ინვესტიციების დონე ამ სფეროებში რჩება დაბალი. რეკომენდირებულირესწ ღონისძიებების 75% მოითხოვდა 5,000 ევროზე ნაკლებ ინვესტიციას.

განხორციელებული რესწ ვარიანტების განაწილება ინვესტირებული თანხების მიხედვით



2023-2024 წლებში შემუშავდა 37 რესწ ბიზნეს-ქეისის (ან წარმატების ისტორიის) სერია, სადაც წარმოდგენილია ქართული მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოყენებული რესწ მეთოდოლოგია.

ეს ქეისები იძლევა დეტალურ ინფორმაციას კომპანიების, მათი შიდა წარმოების პროცესების, საუკეთესო პრაქტიკისა და განხორციელების შესახებ. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაასკანეროთ QR კოდი.

SCAN ME

რესწ-ის წარმატების ისტორიები

EaP GREEN-ის 10 კომპანიის მონიტორინგისგან განცალკევებით, EU4Environment პროგრამის ფარგლებში, რესწ-ის განხორციელება გაგრძელდა 10 სადემონსტრაციო კომპანიაში და 17 კომპანიაში, რომლებიც მონაწილეობდნენ ორ რესწ კლუბში. ამ ორი უკანასკნელისთვის ეროვნულმა ექსპერტებმა კომპანიის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავეს 111 რეკომენდაცია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეკომენდაციების 25% უკვე განხორციელებული იყო. გარდა ამისა, 135 ქართველმა ექსპერტმა გაიარა ტრენინგი რესწ-ს, ცირკულარული ეკონომიკის და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) საკითხებზე.

ჯამში, ეს შემთხვევები წარმოადგენს კომპანიების, მათი წარმოების შიდა პროცესების, რეკომენდაციების და განხორციელების სტრატეგიების დეტალურ ინფორმაციას. გამოკითხულმა საწარმოებმა ასევე აჩვენეს მყარი გაგება რესწ მეთოდოლოგიის როლის, მიზნისა და სარგებლობის შესახებმენეჯმენტის ზედა რგოლში.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საწარმომ შეინარჩუნა თავდაპირველი, რესწ-ს სწავლება-გავლილი გუნდი, კომპანიების უმეტესობამ განიცადა კადრების სწრაფი დენადობა. ეს ხაზს უსვამს უწყვეტი პრაქტიკული ტრენინგის აუცილებლობას, ცნობიერების ამაღლების აქტივობებთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესწ-დან მიღებული გაკვეთილების თანმიმდევრული გამოყენება.

ვსწავლობთ ჩვენი პარტნიორების გამოცდილებას

საჭიროა საქართველოში UNIDO-ს ეროვნული პარტნიორის, ენერგოეფექტურობის ცენტრის (EEC) ფარგლებში ჩამოყალიბებული ექსპერტების არსებული ჯგუფის შემდგომი მხარდაჭერა, ასევე უნდა მოხდეს ექსპერტების უნარების მუდმივი გაფართოვება საკვანძო ცოდნით (მენეჯერული, ტექნიკური და ცირკულარული). რესწ ექსპერტებს უნდა მიეწოდოთ დამატებითი ხელსაწყოები და საზომი აღჭურვილობა, რათა შეძლონ სწრაფი შეფასებების ჩატარება და ცირკულარული სტრატეგიების გამოყენება.

გარდა ეროვნული ბიზნეს-ქეისებისა, ასევე უნდა იყოს მოწოდებული მაგალითები, მათ შორის სასწავლო ტურები მოწინავე საწარმოებში საქართველოსა და ევროპაში, რათა გაეცნონ და თავდაჯერებულნი გახდნენ ეროვნული საწარმოებისთვის რეკომენდაციების შემუშავებაში. ეს უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოლოდინებს ბანკებისთვის გარემოსდაცვითი სოციალური მართვის (ESG) ინდიკატორებისა და მრეწველობის მწვანე და მდგრადი განვითარების მარეგულირებელი ტაქსონომიის თვალსაზრისით.

გზა წარმატებისკენ

ჩვენი გამოცდილება

საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამები ბოლო ათწლეულის განმავლობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ინდუსტრიებში ცოდნისა და სერვისების მოთხოვნის (მანამდე არარსებულის) გენერირებისთვის, რესწ-ისა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისთვის. მეწარმეები სულ უფრო მეტად იჩენენ ინტერესს, მონაწილეობა მიიღონ პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრენინგსა და ტექნიკურ დახმარებას მათი სამრეწველო საწარმოებისთვის. ისინი ასევე მოტივირებული არიან რესწ სადემონსტრაციო კომპანიების მოსალოდნელი სარგებლითა და წარმატებული გამოცდილებით.

მომდევნომნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც გასათვალისწინებელია, არის:

- ეეც საქართველოს და მსგავსი ორგანიზაციების, როგორც რესწ/ცირკულარული ეკონომიკის განმახორციელებელი სააგენტოების შესაძლებლობების გაძლიერება
- რესწ/ცირკულარული ეკონომიკის ეკოსისტემის გაძლიერება დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით
- რესწ/ცირკულარული ეკონომიკის დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში
- განხორციელებადი ტექნოლოგიური ინვესტიციების პილოტირება
- დაფინანსებისა და მწვანე საკრედიტო მექანიზმების შესაძლებლობების გაძლიერება
- ადგილობრივი საწარმოო ტექნოლოგიების მხარდაჭერა

ამ ნაბიჯებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში რესწ-ის დასანერგად ადგილობრივი გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რეკომენდაციები

ცნობიერების ამაღლება რესწდა ცირკულარული ეკონომიკისშესაძლებლობებისშესახებ

რესწ-ის დანერგვასა და მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის დაჩქარების შესაძლებლობებს შორის კავშირის ხელშეწყობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქართველოში უნდა გაგრძელდეს მწვანე ბაზრების განვითარება, გადამუშავების ინიციატივები, პროდუქციის მწვანე დიზაინი და სხვა სტრატეგიები, რომლებიც დაფუძნებულია რესწ-ის მუდმივ დანერგვაზე. თვითსტაბილირებადი ეკოსისტემის შესაქმნელად შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის აქტიურად ჩართვა. ეს შეიძლება მოიცავდეს დარგობრივ ასოციაციებს, სამთავრობო ორგანოებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, მეწარმე ქალებს და აკადემიურ წრეებს. ასევე საჭიროა ერთობლივი დისკუსიებისა და ცოდნის გაზიარების ფორუმები დაინტერესებულ მხარეებს შორის. მცირე და საშუალო საწარმოების დაფარვის არეალის გასაფართოებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალგვარი შუამავლები (მათ შორის სექტორთან დაკავშირებული ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი მთავრობები და ფინანსური სერვისების მომწოდებლები). ცნობიერების ამაღლების განმეორებითი, მიზანმიმართული კამპანიები შეიძლება დაეხმაროს საწარმოებს, მარეგულირებელ ორგანოებს და საზოგადოებას რესწ/ცირკულარული ეკონომიკის უპირატესობებისა და მნიშვნელობის შესახებ განათლებაში, გარემოზე პასუხისმგებლობის კულტურის შექმნით. რესწ და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები გაცნობიერებულად უნდა იყოს ინტეგრირებული, შეთანხმებული უფრო ფართო გარემოსდაცვით პერსპექტივებთან, რაც იწვევს ჰოლისტიკურ და მდგრად მიდგომას.

მარკეტინგის უწყვეტი კამპანია სხვადასხვა არხების გამოყენებით (მათ შორის არსებული მასალები, ვიდეოები და ონლაინ პლატფორმები) უნდა იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი აუდიტორიის მისაღწევად. მიზნობრივი ღონისძიებები (როგორიცაა ბიზნეს ლანჩები ან სხვა ფუნქციები) უნდა ორგანიზდეს, რათა ინდუსტრიის მენეჯმენტთან და მეწარმეებთან პირდაპირი ჩართულობა განხორციელდეს. გზავნილები უნდა იყოს მორგებული სხვადასხვა სექტორსა და კომპანიის ზომას, რათა მაქსიმალურად მიესადაგოს მათ. ამასთან, საჭიროა მარკეტინგისა და კომუნიკაციების მუდმივი ბიუჯეტის გამოყოფა, რათა უზრუნველყოს რესწ/ცირკულარული ეკონომიკის ინიციატივების მუდმივი ხილვადობა და მხარდაჭერა. საერთო ჯამში, როგორც მომავალი ეკონომიკური სტრატეგია, აუცილებელია რესწ-ის საშუალებით განხორციელებული ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკებზე ხაზგასმა.

საგანმანათლებლო ინიციატივები

მომავალ პროგრამას შეუძლია ხელი შეუწყოს რესწ/ცირკულარული ეკონომიკის კურსის და სახელმძღვანელოს შემუშავებას უნივერსიტეტებისთვის. თუმცა, ეს ძალისხმევა მუდმივად უნდა იყოს ინტეგრირებული როგორც აკადემიურ, ისე პროფესიული სწავლების სფეროში. განსაკუთრებით კვების მრეწველობასა და მშენებლობაში, არსებობს რესწ და ცირკულარული ეკონომიკის მაღალი პოტენციალი და მიზნობრივი ტრენინგები, წინასწარ შემუშავებულ ინსტრუმენტებს და რეკომენდაციებს შეუძლიათ გაზარდონ რესწ-ის გავრცელება და გამოყენება. ჩართული დაინტერესებული მხარეების ციფრული წიგნიერების საფუძველზე, ეროვნული ექსპერტებისა და საწარმოების წარმომადგენლებისთვის უნდა შემუშავდეს სწავლების სხვადასხვა გზები, რომლებიც მაქსიმალურად გამოიყენებენ ციფრულ სწავლებას, რათა გაზარდონ დაფარვის არე.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიების მხარდაჭერას, რათა გაუმკლავდნენ ხელმძღვანელობაში ან საკუთრებაში არსებულ ცვლილებებს (მაგ., მიზნობრივი სასწავლო გამოცდილების შემუშავება მცირე და საშუალო საწარმოების მფლობელებისთვის/მენეჯერებისთვის რესწ და ცირკულარული ეკონომიკის საკითხებზე), ასევე მეორადი პრობლემების მოგვარებაში რესწ რეკომენდაციების განხორციელებისას.

შესაძლებლობების გაძლიერება

ქართულ კომპანიებში რესწ-ის უფრო ფართო გამოყენების სტიმულირებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებები:

ეროვნული შესაძლებლობების გაფართოება უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის მეშვეობით: რესწ მეთოდოლოგიის ინტეგრირება აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებში საქართველოში, რათა გაიზარდოს კომპანიების წვდომა კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ რესწ პროექტების განხორციელება

მეტი ჩართულობა მონიტორინგში, შემდგომ პროცედურებში და სერტიფიცირების განაცხადებში: აუცილებელია რესწ-ის ძირითად ბიზნეს სტრატეგიებში ინტეგრირებისთვის

გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვა: სტაბილური ბაზის შექმნა მუშაობის გასაგრძელებლად ტექნიკური პერსონალის ხშირი ცვლილების მიუხედავად, რაც არღვევს რესწ ღონისძიებების განხორციელების გრაფიკს

წიგნიერება ESG-ში, ტაქსონომიასა და ეკო-დიზაინში: რათა დაეხმაროთ კომპანიებს გააცნობიერონ და დაიცვან გარემოსდაცვითი რეგულაციები და ტენდენციები

ინვესტირება სტიმულირების მექანიზმებში

კომპანიის მართვის სისტემებში რესწ-ის ჩასართავად უნდა განვითარდეს სხვადასხვა მასტიმულირებელი მექანიზმები, როგორიცაა აღიარებები, ჯილდოები, ეროვნული და საერთაშორისო სერთიფიკატები. ამ სტიმულს შეუძლია შეუქმნას პლატფორმა კომპანიებს, მოახდინონ რესწ-ის ინტეგრირება თავიანთ მართვის პრაქტიკაში. ეს მოითხოვს თანამშრომლობის მოწინავე მოდელებს საკონსულტაციო მომსახურების და სერვისის მომწოდებლებს შორის, რათა უზრუნველყოს დარგის პერსონალის უწყვეტი სწავლება (როგორიცაა რესწ კლუბების ინსტიტუციონალიზაცია ან შესაძლებლობების განვითარების შესადარი პროგრამები და REC Caucasus-ის შესაძლებლობების გაძლიერება).

განხორციელებადი ტექნოლოგიური ინვესტიციების პილოტირება

შეიძლება მეწარმეების წახალისება, რათა მოამზადონ უფრო ამბიციური რესწ სამოქმედო გეგმები, ტექნოლოგიების წინასწარ შერჩევით და რეკომენდაციების მიწოდებით რესწ-ის საპილოტე პროექტებში ინვესტირებისთვის, რომლებიც აჩვენებენ რესწ-ის მომგებიანობას და რისკების მართვას. ეს მოიცავს დარგობრივ ტექნოლოგიებს, ციფრული ხელსაწყოების გამოყენებას, გადამუშავებას და ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედო უფრო ცირკულარულ ბიზნეს-მოდელებს.

ადგილობრივი საწარმოო ტექნოლოგიების მხარდაჭერა

ეს მოიცავს ინვესტირებას საგანმანათლებლო პროგრამებში და ტექნოლოგიურ სტარტაპებში, რათა უზრუნველყონ შესაბამისი, ადაპტირებული და ეკონომიური თანამედროვე აღჭურვილობა, ინოვაციების მხარდაჭერა ადგილობრივ მანქანათმშენებლობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დარგებში, რაც ნიშნავს ტექნოლოგიების უფრო ეფექტურ და რენტაბელურ ეროვნულ ბაზარს.

დაფინანსებისა და მწვანე საკრედიტო ინსტრუმენტების გაძლიერება

მიუხედავად იმისა, რომ მწვანე დაკრედიტების საჭიროება უკვე რამდენიმე წელია აღიარებულია, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის უფსკრული კვლავ პრობლემად რჩება. სწორედ ამიტომ მწვანე საკრედიტო მექანიზმები უნდა იყოს მორგებული მცირე და საშუალო საწარმოების კონტექსტზე. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოებს ხშირად არ აქვთ უნარი, გააძლიერონ თავიანთი კრედიტუნარიანობა და ეფექტურად წარმოადგინონ ბიზნეს გეგმები რესწ/ცირკულარული ეკონომიკის ინვესტირებისთვის. სტიმულირების სხვა მექანიზმები, როგორიცაა : არადაბრუნებადი გრანტები, საგარანტიო ფონდები, სასტარტო დაფინანსება და ტექნოლოგიების განვითარების ფონდები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის რისკებისა და ხარჯების შესამცირებლად. ბანკებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კომუნიკაცია შეიძლება გაუმჯობესდეს ინვესტირებით პრაქტიკულ საბუღალტრო აღრიცხვაში, ფინანსურ ანალიზში და ESG-თან და მწვანე ტაქსონომიასთან ურთიერთობაში.

EaP GREEN და EU4Environment-ის მცირე და საშუალო საწარმოები რესწ-ის გამორჩეული წარმატების ისტორიებით (ასევე ხელმისაწვდომია აქ)

EAP GREEN-ის მონაწილე კომპანიები - ჩაუტარდათ მონიტორინგი 2022-2024 წლებში

1. **შპს ასკანელი** სასმელების წარმოება
2. **შპს „ლაგი“** უალკოჰოლო სასმელები
3. **შპს „ქინძმარაული“** ალკოჰოლური სასმელები
4. **შპს "GEORGIA'S NATURAL - AROMA PRODUCT",** გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული
5. **შპს „ნეოპრინტი“** ქაღალდის გადამუშავება
6. **შპს „ეკოილი“** საპოხი მასალები
7. **შპს „პანტა“** ბრიკეტების წარმოება
8. **ქართული ფერმა** რძის პროდუქტების წარმოება
9. **შპს „სარინი“** კონსტრუქციები
10. **შპს „სინალი“** ალუმინის წარმოება

რესწ-ის სადემონსტრაციო კომპანიები (შეფასებული EU4E-ს ფარგლებში)

1. **შპს „ლაგოდეხავტოგზა“** ასფალტის წარმოება
2. **შპს „შატო მუკუზანი“** ღვინის წარმოება
3. **შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“** ბიოდიზელის წარმოება
4. **შპს GIAM GROUP** მანდარინის წვენის წარმოება
5. **შპს „ვაზიანი“** ღვინის წარმოება
6. **შპს „ტიტანი“** ცელოფანის პაკეტების წარმოება
7. **შპს „თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა“** ქათმის ხორცის და კვერცხის წარმოება
8. **შპს „ცივის ყველი“** ყველის წარმოება
9. **შპს „ნექტარი-2008“** უალკოჰოლო სასმელების წარმოება
10. **შპს „გეო-ორგანიკი“** ხილის ჩირის წარმოება

რესწ კლუბის კომპანიები

1. **შპს „ბი პლასტი“** პლასტმასის წარმოება
2. **შპს „CAUCASPACK“** PET და პოლიპროპილენის ფირის წარმოება
3. **შპს „წალკის რძის პროდუქტები“** რძის პროდუქტების წარმოება
4. **რ.ჯანაშვილი** რძის პროდუქტების წარმოება
5. **შპს „გეკა“** კვერცხის წარმოება
6. **შპს „კასპი ელექტროაპარატი“** ფოლადის წარმოება
7. **შპს „გეო პროვიჟენ“** შინაური ცხოველების საკვების წარმოება
8. **კალო** კვერცხის წარმოება
9. **შპს „საგარეჯო-2009“** კვერცხის წარმოება
10. **შპს „კაუ ტივი“** ქიმიკატების წარმოება
11. **შპს „ლიდერ პლასტი“** პლასტმასის ნაწარმი
12. **შპს „მეგაპლასტი“** პლასტმასის ნაწარმი
13. **შპს „მარიამი“** რძის პროდუქტების წარმოება
14. **შპს „მშენებელი-2019“** ასფალტის წარმოება
15. **შპს „პოლიედრო“** პოლიპროპილენის ფირი
16. **შპს „ნატურალ პროდუქტი - ცეზარი“** რძის პროდუქტების წარმოება
17. **შპს „კავკასიის ორგანული ხილი“** ჩირების წარმოება

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

გამოხმაურებები

„ჩვენ ვეძებდით გზებს ენერგიის მოხმარებისა და წარმოქმნილი ნარჩენების შესამცირებლად. EU4Environment-ის რესწ კომპონენტის წყალობით, კომპანია ახლა გეგმავს წარმოების გაუმჯობესებას, პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდას და ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას, რათა შეამციროს ენერგიის წლიური ხარჯები და მინიმუმამდე დაიყვანოს ორგანული ნარჩენები და CO2-ის ემისიები. ამდენად, რესწ-ის პროექტმა შთააგონა პერსონალი, რომ იყვნენ ღია ახალი იდეებისა და მიდგომების მიმართ რესწ ღონისძიებების განსახორციელებლად მომავალში“, განაცხადა შპს „შატო მუკუზანის“ მენეჯერმა ბ-ნმა ზაზა დოლმაზაშვილმა.

„ჩვენი კომპანია იყო მოტივირებული, შეერთებოდა EU4Environment-ის რესწ კომპონენტს, რათა გაცნობოდა გაგრილების დანადგარებში ენერგიის ჭარბი მოხმარების პრობლემის გადაჭრის ეფექტურ საშუალებებს. ასევე, კომპანიის თანამშრომლებმა აღნიშნეს ელექტროენერგიის არაეფექტური და არარაციონალური მოხმარება, რის გამოსწორებაც დაისახეს მიზნად. რესწ-ის გამოცდილებამ გამოავლინა ყველა საწარმოო პროცესის რეგულარული ინსპექტირებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა პრობლემების დროული იდენტიფიცირებისთვის. ახლა ვგეგმავთ საწარმოო შესაძლებლობების გაძლიერებას და მთლიანი მართვის სისტემის გაუმჯობესებას“, - განაცხადა შპს "ქინძმარაულის" დირექტორმა თამაზ კონჭოშვილმა.

„ჩვენი მთავარი მიზანი იყო ელექტროენერგიის ჭარბი მოხმარების შეზღუდვა და ენერგიის მაღალი წლიური ხარჯების პრობლემის დაძლევა. EU4Environment-ის რესწ კომპონენტის წყალობით, ჩვენ შევიტყეთ მზის ფოტოელექტრული პანელების დაყენების პოტენციური სარგებლის შესახებ და როგორ განვაგრძოთ რეკომენდებული ღონისძიებების წარმატებულად განხორციელება“, განაცხადა შპს "ნექტარი-2008"-ის დირექტორმა, ბ-ნმა დავით დალაქიშვილმა.

„ჩვენ ვიყავით მოტივირებული, შევერთებოდით EU4Environment-ის რესწ კომპონენტს, რათა დაგვეძლიაენერგიის მაღალი მოხმარებისა და ენერგიის მაღალი ხარჯების პრობლემა. ამ პროექტამდე ჩვენი კომპანიის ორი მთავარი გამოწვევა იყო ენერგოეფექტურობა და ჩამდინარე წყლების მართვა. მთავარი გაკვეთილი, რომელიც ვისწავლეთ, იყო აგვეღო ვალდებულება, პერიოდულად განვაახლოთ ჩვენი ტექნოლოგია და გავზარდოთ ცნობიერება მენეჯმენტის გუნდში. კიდევ ერთი დამატებული ღირებულება, რომელიც მივიღეთ რესწ-ის გამოცდილების წყალობით, იყო რწმენა, რომ შეგვიძლია ვიმუშაოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი წარმოების ხარისხი და გავზარდოთ საწარმოო შესაძლებლობები“, განაცხადა შპს ასკანელის მთავარმა ინჟინერმა, ბ-ნმა ზაზა შოშიტაშვილმა.

„ჩვენმა კომპანიამ დააფიქსირა ენერგიისა და წყლის მაღალი მოხმარება, ამიტომ ვეძებდით რჩევებს, თუ როგორ შეგვეძლო ამ რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება. შედეგებმა გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს, რადგან შემოთავაზებული რესწ ღონისძიებების განხორციელებამ გამოიწვია ენერგიისა და წყლის მოხმარების შემცირება და ნარჩენების მნიშვნელოვანი შემცირება“, განაცხადა "ქართული ფერმის" მთავარმა ინჟინერმა, ბ-ნმა რომან იშხნელმა.

„ჩვენი კომპანია იყენებდა არაეფექტურ ტექნოლოგიურ სისტემას, რაც იწვევდა ენერგიის ჭარბ მოხმარებას, განსაკუთრებით წარმოების იმ პროცესებში, რომლებიც საჭიროებენ თბურ ენერგიას. EU4Environment-ის რესწ კომპონენტის წყალობით, ჩვენ ვისწავლეთ ჩვენი ტექნოლოგიის სისტემატური განახლება და ინვესტირება მმართველი პერსონალის ცნობიერების ამაღლებისთვის. რამდენადაც საწარმო გეგმავს წარმოების ხარისხის გაუმჯობესებას და სიმძლავრის გაზრდას, რესწ პროექტმა შთააგონა ახალი იდეები და მიდგომები სამომავლოდ რესწ ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით“, განაცხადა შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ ტექნიკურმა კონსულტანტმა, ბ-ნმა კახა ქარჩხაძემ.

პროგრამის შესახებ

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. პროგრამა „ევროკავშირი გარემოსათვის“ (EU4Environment) მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, შეინარჩუნონ და უკეთ გამოიყენონ ბუნებრივი კაპიტალი, გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა და გააქტიურონ უფრო მწვანე ეკონომიკური ზრდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მისი ინიციატივები ხელს უწყობს პოლიტიკასა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, გახადოს დაგეგმვა და ინვესტიციები უფრო ეკოლოგიური, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებას,ახალი ბიზნეს მოდელების დანერგვით და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნით.

პროექტში ჩართულია ხუთი განმახორციელებელი ორგანიზაცია - OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკის ჯგუფი - რომლებიც ფოკუსირებული არიან ხელშესახები შედეგების მიღებაზე პარტნიორი ქვეყნების მიერ განსაზღვრული მიზნების, პრიორიტეტებისა და თანამშრომლობის საერთო მიზნების შესაბამისად. UNIDO, მე - 2 - ე შედეგის - "ცირკულარულ ეკონომიკის და ახალი შესაძლებლობების ზრდის" ფარგლებში, მუშაობს შედეგების: 2.1 - „რესურსეფექტური და სუფთა წარმოება, ეკო-ინოვაციები მცირე და საშუალო საწარმოებში გაფართოვება“ და “, 2.2- "ევროკავშირის ერთიანი ბაზრის კონცეფცია და ინსტრუმენტები მწვანე პროდუქტების ინიციატივისთვის შემოღებულია და მხარდაჭერილია"- მისაღწევად. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: HYPERLINK "http://www.eu4environment.org"www.eu4environment.org

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს. ეს დოკუმენტი მომზადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე. გამოყენებული აღნიშვნები და ამ დოკუმენტში მასალების წარდგენა არ გულისხმობს გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სამდივნოს (UNIDO) მხრიდან რაიმე მოსაზრების გამოხატვას ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, ან მისი საზღვრების ან საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებით, ან მისი ეკონომიკური სისტემის ან განვითარების ხარისხის შესახებ. ტერმინები, როგორიცაა "განვითარებული", "ინდუსტრიული" ან "განვითარებადი", პუბლიკაციაში იხმარება სტატისტიკური მოხერხებულობისთვის და ისინი არ გამოხატავენ თვალსაზრისს იმ ეტაპის შესახებ, რომელსაც მიაღწია კონკრეტულმა ქვეყანამ ან რეგიონმა განვითარების პროცესში. კომპანიების სახელების ან კომერციული პროდუქტების მოხსენიება არ ნიშნავს მათ დამტკიცებას UNIDO-ს მიერ. გამოთქმული მოსაზრებები, სტატისტიკური მონაცემები და შეფასებები ავტორთა პასუხისმგებლობაა და არ უნდა იქნას გაგებული, როგორც UNIDO-ს ან მისი წევრი სახელმწიფოების შეხედულებები ან მოწონება.
© – 2024 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში გარკვეული პირობებით

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
ქალბატონი ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
ტელ.: +43 1 26 0 26 5520
ელ.ფოსტა: t.chernyavskaya@unido.org

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP